სკოპინგის დასკვნა N56

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ქაღალდის ნარჩენის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „გრინ ფეიფერი“ (405496191);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტარი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 18.06.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გრინ ფეიფერის“ გარემოსდაცვითი კონსულტანტი

ძირითადი საპროექტო მონაცემები

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „გრინ ფეიფერმა“ (შემდგომ - კომპანია) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ ნატახტარში ქაღალდის ნარჩენის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

„მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში შპს „გრინ ფეიფერის“ ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სააგენტოს 2025 წლის 4 მარტს გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N104/ს), დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

2025 წლის 10 თებერვალს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „გრინ ფეიფერის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091600 ოქმი.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე კვლავ მიმდინარეობდა საწარმოს ექსპლუატაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში, შპს „ლენდ ინვესტმენტის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.29.502), რომელსაც შპს „გრინ ფეიფერი“ იყენებს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ძირითადი შენობა-ნაგებობა, რომელთაგან N1 წარმოადგენს ადმინისტრაციას/საწარმოს, N2 – საწყობს, ხოლო N3 და N4 – დამხმარე ფართებს. სკოპინგის ანგარიშით, კომპანიას საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ იჯარით აქვს აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები (ს/კ 72.03.29.507 და ს/კ 72.03.29.508), საიდანაც ს/კ 72.03.29.507 ნაკვეთზე გადის საწარმომდე მისასვლელი გზა, ხოლო ს/კ 72.03.29.508 ნაკვეთის საპროექტო დანიშნულებით გამოყენება არ იგეგმება. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 200 მეტრში მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი (კოტეჯი). ტერიტორიის ჩრდილოეთით, საწარმოდან დაახლოებით 210 მეტრში, მდებარეობს ნატახტარის აეროდრომი (ს/კ: 72.03.30.933). ტერიტორიიდან 500 მ რადიუსში განთავსებულია ხის, პლასტიკის და მუყაოს მასალის სასაწყობე ობიექტები (შპს „ევრო პარკი“, შპს „3S ქიმია სანაი ვე თიჯარეთი“, შპს „ალფა 2022“, შპს „ROYAL PAPER“). საწარმოს მიმდებარედ ასევე მდებარეობს შპს „უძრავი ქონების მართვის ჯგუფის“, შპს „გლობალ მარკ ქორფორეიშენის“, შპს „ნატახტარი ფროფერთის“ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები, სადაც ფუნქციური ნაგებობები და საწარმოების საქმიანობა არ ფიქსირდება. საწარმოს ტერიტორიამდე მისასვლელი გზის პირველი ნაწილი მოასფალტებულია, ხოლო ნაწილი წარმოადგენს გრუნტიან გზას.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატივები. ტერიტორიის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ N1 შენობა-ნაგებობაში, პირველ სართულზე, მოწყობილია ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზი და მზა პროდუქციის დასაწყობების სივრცე, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ოფისი. N2 შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების (ნედლეული) დასაწყობება, ხოლო N3 და N4 შენობა-ნაგებობები განკუთვნილი იქნება დამატებით სასაწყობე ფართებად. საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 20625 ტონა (68.75 ტ/დღ) ქაღალდის ნარჩენის (20 01 01 - ქაღალდი და მუყაო; 15 01 01 ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა) გადამუშავება (აღდგენა) და დაახლოებით 16500 ტონა (55 ტ/დღ) მუყაოს პროდუქციის წარმოება. საწარმო მუშაობს 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით, თვეში არაუმეტეს 25 დღე (7200 სთ/წელ), დასაქმებული იქნება 55 ადამიანი. წარმოებაში დაგეგმილია საქვაბე დანადგარის გამოყენება, რომელიც 1 ტ პროდუქციის წარმოებისას საშუალოდ გამოიყენებს 320-330

$м^2$/სთ ბუნებრივ აირს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოსთვის ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში შემოტანილი მუყაოს/ქაღალდის ნარჩენები საწყის ეტაპზე თავსდება ნედლეულის დასაწყობებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში, რის შემდგომაც, კონვეიერის გავლით, მიეწოდება მომზელ დანადგარს, სადაც ემატება წყალი. ქვიშის გამწმენდის მეშვეობით გაწმენდილი და შერეული ნარჩენი მომზელიდან გადადის პირველ დამამუშავებელ ავზში. ტექნოლოგიურ პროცესში ხდება მუყაოს ნარჩენის დაქუცმაცება და გაწმენდა ცელოფნის, სკოჩის, პლასტიკის, ქვიშის და ძაფის ნაწილაკებისგან. პირველ ორ ავზს შორის განთავსებულია ბოჩკოს და შლაკის გამანაწილებელი. მე-5 და მე-6 რეზერვუარში წყალში გაზავებული მუყაოს დაქუცმაცებული ნარჩენი იწურება ხალიჩაზე და გადადის მე-7, მე-8 და მე-9 ავზებში, საიდანაც მასა გადადის გრამაჟის ავზში და მასის ჩამსხმელში, ხოლო შემდეგ ნაწილდება ბადეზე, სველი მასის დაშლისა და გამოწურვის მიზნით. ბადეში გაწურული მასა გადადის საშრობში (16 საშრობი დოლით), სადაც ხდება დაახლოებით 70%-მდე გამოშრობა. შემდგომ, მუყაოს მასა გადადის შემკრავ დანადგარში, სადაც ხდება სახამებლის და სხვა დანამატების დამატება, რომელთა საშუალებით ხდება მუყაოს შეკვრა და გამაგრება. აღნიშნული პროცესის შემდეგ მუყაოს მასა გაივლის კალენდერს და კვლავ გადადის საშრობ დანადგარში (8 საშრობი დოლით), სადაც შრება 93%-მდე. მიღებული მუყაო იხვევა რგოლებად, რის შემდგომაც ხდება ზედმეტი კუთხეების მოშორება/შემოჭრა. შემოჭრილი მუყაოს ნარჩენი ბრუნდება საწარმო ხაზის საწყის ეტაპზე და ხდება მისი ხელმეორედ ნედლეულად გამოყენება/გადამუშავება. საბოლოოდ მიიღება მუყაოს დახვეული გრაგნილი, რომელიც საწყობდება მზა პროდუქციის სივრცეში. საწარმოში მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რისთვისაც განთავსებულია ტექნიკური წყლის ძირითადი 700 ტონიანი და დამხმარე 200 ტონიანი რეზერვუარი.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. წლიურად გამოსაყენებელი სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი შეადგენს 412 $მ^3$-ს, ხოლო ტექნიკური დანიშნულების წყლის ხარჯი - 28050 $მ^3$-ს. ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია ჭაბურღილიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ვინაიდან ობიექტზე მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. რაც შეეხება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებს, მათი ჩაშვება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება. საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობა-ნაგებობაში, ხოლო გარე ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყაროები განთავსებული არ არის. შესაბამისად,

სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლები ჩაედინება ბუნებრივ სანიაღვრე არხებში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნასთან და ხმაურის გავრცელებასთან. მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ძირითადი წყაროებია: საქვაბე, სახამებლის დანამატის ჩაყრის წერტილი, მზა მუყაოს შემოჭრის დანადგარი. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: შეწონილი ნაწილაკები, აზოტის დიოქსიდი და ნახშირჟანგი. რაც შეეხება ხმაურის წარმოქმნას, საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურწარმომქმნელი წყაროების ძირითადი ნაწილი განთავსებულია დახურულ შენობაში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის და მასშტაბების გათვალისწინებით, მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების წარმოქმნის და მათი მართვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ცხოველების ბინადრობისთვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მახლობლად ანალოგიური ტიპის წარმოება არ ფიქსირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 14 ივლისს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნატახტარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „გრინ ფეიფერის“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე გარემოსდაცვითი კონსულტანტი და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე საქმიანობასთან დაკავშირებით დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: ტექნოლოგიურ

ციკლში წყლის გამოყენებას; ამჟამად საწარმოს სრული დატვირთვით ექსპლუატაციის საკითხს; ფიზიკური პირებისგან მაკულატურის მიღებას; მისაღები მაკულატურის მინიმალურ რაოდენობას და ამჟამად მაკულატურის ჩაბარების შესაძლებლობას; ხმაურის გავრცელებას; ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს გარემოსდაცვითმა კონსულტანტმა და შპს „გრინ ფეიფერის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.**
5. **გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო კოდების, Shp ფაილებისა და GPS

კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- დეტალური ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით (ალტერნატივების ერთმანეთთან შედარებით), მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის, ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით), რუკაზე ასახვით;
- საწარმოს საქმიანობის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე/აღდგენამდე). ასევე, დეტალური ინფორმაცია საწარმოში არსებული და მოსაწყობი ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ (დანადგარების საპასპორტო მონაცემების, წლიური და საათობრივი წარმადობების მითითებით) გენ-გეგმაზე დატანით (ასევე, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოო ხაზები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის (ტიპისა და საათური, დღიური, წლიური რაოდენობების მითითებით) შესახებ;
- ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზ(ებ)ის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობების შესახებ (წლიური, დღე-ღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით);
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ. ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ; ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში

გადაადგილების შემთხვევაში - ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);

- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერგიით/ბუნებრივი აირით ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ (გამოსაყენებელი რაოდენობების მითითებით);
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე, საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის, ინფორმაცია იმ ნებართვის მქონე ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც გადაეცემა აღნიშნული ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით;
- ინფორმაცია ნარჩენების დამუშავების პროცესში გამოყენებული დანამატების (მათ შორის, ქიმიური) შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია დასამუშავებელი ნარჩენის კოდ(ებ)ის, დასახელებ(ებ)ის, წარმოშობის წყაროს და რაოდენობის შესახებ;
- ნარჩენების აღდგენის ან განთავსების ოპერაციის კოდები და აღწერილობა, ნარჩენები მართვის კოდექსის I ან II დანართის შესაბამისად;
- საპროექტო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;
- ინფორმაცია საწარმოში წყლის გამოყენების (მათ შორის, წყლის ცირკულაციის) შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური) მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებისა (მათ შორის სანიაღვრე და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების) და მათი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მათ შორის, ინფორმაცია საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობით მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- ინფორმაცია საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

- დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი, თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში;
    - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
    - ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
    - დაზუსტებული ინფორმაცია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ (მეთოდური მითითებით)
    - წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური დანადგარების საპასპორტო მონაცემები, რომელთა მიერ დადგენილი იქნება აღნიშნული დანადგარების წარმადობა და გამოშვებული პროდუქციის მწარმოებლობა, დროის განსაზღვრულ პერიოდში, შესაბამისი მავნე ნივთიერებათა წარმოქმნის ინტენსივობის დაზუსტების მიზნით;
    - ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან უახლოეს რეცეპტორთან (საცხოვრებელი სახლი). მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ინფორმაცია შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს შესახებ. ასევე, ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;
    - გზშ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
    - ინფორმაცია ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების შესახებ. იდენტიფიცირებული წყარო(ები)დან სუნის გავრცელების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები;

- პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შედეგების მითითებით. ასევე, უნდა განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხები;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე (არსებობის შემთხვევაში);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე, კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნარჩენის (კოდით 20 01 28) სახელწოდება და შემდგომი მართვის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ნაგავსაყრელზე თხევადი ნარჩენების განთავსება არ არის შესაძლებელი. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს პლასტმასის და ლითონის შემდგომი მართვის საკითხი, რომელიც უნდა გადაეცეს აღდგენის უფლების მქონე კომპანიას. ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 29/03/2016 წ. №144 დადგენილების („ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის

რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“) თანახმად, ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირება, რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს, რომლის რეგისტრაციაც ხორციელდება www.wms.mepa.gov.ge ელექტრონულ საიტზე;

- საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 210 მეტრში მდებარეობს შპს „სერვისეირის“ ნატახტარის აეროდრომი. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „სერვისეირისთან“ შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს აეროდრომამდე დაშორების მანძილები, როგორც საკადასტრო, ისე უშუალოდ საწარმოს ტერიტორიიდან;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სასმელი წყლის მომარაგების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით დაახლოებით 930 მ-ში, ხოლო საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 910 მ-ში ფიქსირდება უსახელო არხი/ღელე. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოო პროცესში მიმდინარეობს დახურულ ნაგებობაში, სახიფათო ნივთიერებების ან დამაბინძურებლების განთავსება გარე ტერიტორიაზე არ არის განსაზღვრული, შესაბამისად სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს და არ არის საჭიროება სანიაღვრე წყლების გამწმენდი დანადგარის (სალექარის) მოწყობა. ისინი პირდაპირ ჩაედინება ბუნებრივ სანიაღვრე არხებში“. საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ გამოსაყენებელი ნედლეული/ნარჩენი განთავსებული იყო ღია, გადაუხურავ, სასაწყობე შენობის მიმდებარე ტერიტორიებზე, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი, ისე გამწმენდი დანადგარის მოწყობის საჭიროება/საკითხი. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ზემოაღნიშნულ სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით (სქემატურ ნახაზზე ჩვენებით);
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კომპანიას იჯარით აქვს აღებული საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები (ს/კ 72.03.29.507 და ს/კ 72.03.29.508), საიდანაც ს/კ 72.03.29.507 ნაკვეთზე გადის საწარმომდე მისასვლელი გზა, ხოლო ს/კ 72.03.29.508 ნაკვეთის საპროექტო დანიშნულებით გამოყენება არ იგეგმება. ამასთან, წარმოდგენილი Shp ფაილები არ მოიცავს მისასვლელი გზისთვის გამოსაყენებელ მიწის ნაკვეთს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია დაზუსტებას საჭიროებს ;
- სკოპინგის ანგარიშის 5.2 ქვეთავში („საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის აღწერა“) და სურათზე 5 („საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის სქემა“) მოცემული ინფორმაცია/ექსპლიკაცია არ არის ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში. კერძოდ, გარკვეული ობიექტები/დანადგარები მონიშნულია ერთი და იმავე ნომრით (მაგალითად, ნარჩენი კონვეიერის (27) და შლაკის (27) გამანაწილებელი ორივე 27 ნომრითაა მონიშნული და სხვ.), ასევე არ იძებნება სქემაზე საქვაბე (30). შესაბამისად,

ტექსტობრივ ნაწილსა და სქემაზე წარმოდგენილი ინფორმაცია ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტექნიკური და სამეურნეო დანიშნულების წყლის მოპოვება განხორციელდება ჭაბურღილიდან. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია ჭაბურღილიდან წყლის მოპოვების (მოქმედი) ლიცენზიის შესახებ., ასევე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს წყალაღების GPS კოორდინატი;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ორთქლის ქვაბში დღე-ღამის განმავლობაში დანაკარგების შესავსებად შეიძლება მოიხმაროს 1 ტონა პროდუქციაზე 0.2 $მ^3$ წყალი.“ დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ორთქლის ქვაბის შესახებ. ამასთან, ერთი და იგივე დანადგარი მოხსენიებული უნდა იქნას იდენტური სახელწოდებით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (კოტეჯი) დაშორებულია დაახლოებით 200 მ, ხოლო საწარმო ხაზის ნაგებობიდან - 300 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 200 მ, ხოლო უშალოდ საწარმოს შენობიდან 230 მეტრით. შესაბამისად, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაზუსტებას საჭიროებს. გარდა ამისა, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გაანგარიშებულია 300 მეტრით დაშორებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით. შესაბამისად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები (მათ შორის, ხმაურის გავრცელება) გაანგარიშებული უნდა იქნას დაზუსტებული მანძილების შესაბამისად;
- წარმოდგენილი Shp ფაილები, კერძოდ, საკადასტრო საზღვრის კუთხეების რამდენიმე კოორდინატი კორექტირებას საჭიროებს;
- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.**

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „გრინ ფეიფერის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარის ტერიტორიაზე ქაღალდის ნარჩენის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.